კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/3240
07/11/2023

3240-01-2-202311071650

ეკატერინე გორჯელაძეს (პ/ნ 61001073846)
მის: ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის ქ.№54,ბინა №
მის:ქ.ბათუმი, პუშკინის №
ელ-ფოსტა: info@sunline.ge
ტელ:.577 30 90 38

ქალბატონო ეკატერინე,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 6 ნოემბრის №04/818 ბრძანებით, სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო), ს (პ/ 2023 წლის 22 სექტემბრის №01/3187 განცხადების საფუძველზე, დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრე - ეკატერინე გორჯელაძის (პ/ნ 61001073846) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

სსიპ - აქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის" (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:

ა) ჰყავდეს წარმომადგენელი;

ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;

გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;

დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;

ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

5. სააგენტოს მიერ პირობითი ვალდებულებების მიღების შემთხვევაში, მოვაჭრე ვალდებულია, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მითითებული ვადის გასვლიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე.
6. სააგენტო უფლებამოსილია მოვაჭრეს მოსთხოვოს მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება გარკვეული პერიოდულობით.
7. სააგენტო უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა, რომლის ვადა 1 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, თუ:
ა) მოვაჭრე თავის მიერ ნაკისრ პირობით ვალდებულებებს სააგენტოს მიერ მასთან დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს;
ბ) პირობითი ვალდებულებები მოვაჭრის მიერ მიწოდებულ მცდარ, არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას ეფუძნება.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

პროცედურის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;
ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;
გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, 5 სამუშაო დღის ვადაში გთხოვთ წარმოგვიდგინოთ ,,sunline“-ს(https://www.facebook.com/onlineshopsunline/ ;https://sunline.ge/)სავაჭრო პოლიტიკის(მომხმარებელთან ურთიერთობისთვის განკუთვნილი წესებისა და პირობების ერთობლიობა) შესახებ ინფორმაცია:

კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 04/818
06.11.2023

ბრძანება

818-01-4-202311061251

მოქალაქე ს. [illegible] განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მოქალაქე ს [illegible] (პ/ნ [illegible]) 2023 წლის 22 სექტემბრის №01/3187 განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრე - ეკატერინე გორჯელაძის (ს/ნ 61001073846) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 3 ნოემბრის №03/887 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე